საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 18 **30 ივლისი 2026 წელი**

„სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 3 ივლისი №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1.

„სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 3 ივლისის №15 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/07/2026; სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.108.016593) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 და 25-ე მუხლების შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ჯუმბერი ტყებუჩავა